№2402 2015 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 დეკემბრის №2417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 დეკემბრის №2417 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის

ეროვნულმა ბიურომ, ოთხი ერთეული გვამის სასექციო სტენდის ნაკრების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს მწარმოებელი ფირმისგან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. აღნიშნულ შესყიდვაზე, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელ კომპანიას განესაზღვროს ანგარიშსწორების განსხვავებული პირობები და გათავისუფლდეს, როგორც წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტიის, ასევე ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენის ვალდებულებისაგან.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**